საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-08/127

ქ. ბათუმი 8 ოქტომბერი, 2018წ.

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს არჩევნების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 და 25-ე მუხლების, ,,ბსუ-ს აკადემიური საბჭოს წევრების უფლებამოსილების ცნობის თაობაზე'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2014 წლის 19 ნოემბრის №143 დადგენილების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგიერთი ფაკულტეტის რეორგანიზაციის თაობაზე'' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის №1 გადაწყვეტილების, ,,2018-2019 სასწავლო წლიდან ბსუ-ს ზოგიერთი ფაკულტეტის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 21 აგვისტოს N01-08/104 ბრძანების და იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს და ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს 2018 წლის 24 სექტემბრის სხდომის ოქმების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ბსუ-ს აკადემიურ საბჭოში ბსუ-ს თითოეული ფაკულტეტიდან (შვიდი ფაკულტეტი: იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი; ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი; ტურიზმის ფაკულტეტი; ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის, ტექნოლოგიური ფაკულტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი) და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტიდან (სამი დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი: ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტი, ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტი) არჩეულ იქნეს ერთი წარმომადგენელი (სულ აკადემიური საბჭოს 10 წევრი);
2. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს არჩევნები ჩატარდეს:

   ა) ბსუ-ს ფაკულტეტებზე - 2018 წლის 22 ოქტომბერს (კენჭისყრა დაიწყოს 10 საათზე და დამთავრდეს 17 საათზე);

   ბ) დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებში - 2018 წლის 23 ოქტომბერს (კენჭისყრა დაიწყოს 15 საათზე და დამთავრდეს 17 საათზე);

3. აკადემიურ საბჭოში ფაკულტეტებიდან შესაძლებელია არჩეული იქნეს პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, ხოლო სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებიდან - ამ ერთეულის სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენელი.
4. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს ბსუ-ს საარჩევნო კომისიაში (მისამართი ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ №35/32, ოთახი N13) 2018 წლის 09 ოქტომბრიდან – 2018 წლის 18 ოქტომბრის ჩათვლით, უქმე დღეების გარდა, 10 საათიდან 16 საათამდე.
5. კანდიდატებმა საარჩევნო კომისიაში უნდა წარადგინონ:
   ა) განცხადება;
   ა) პირადობის მოწმობის ასლი;
   გ) ცნობა სამუშაო ადგილიდან (ფაკულტეტიდან ასარჩევმა აკადემიური თანამდებობის პირმა - ბსუ-ს აკადემიური თანამდებობის დაკავების შესახებ, ხოლო სამეცნიერო-კვლევითი ერთეულიდან ასარჩევმა - ბსუ-ს სამეცნიერო თანამდებობის დაკავების შესახებ).
6. ბსუ-ს საარჩევნო კომისიას ეთხოვოს არჩევნების ორგანიზება-ჩატარებისათვის ბსუ-ს წესდებით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.
   ბსუ-ს ფაკულტეტების დეკანებსა და ინსტიტუტის დირექტორებს დაევალოთ არჩევნებისთვის შესაბამისი ოთახების გამოყოფა და 2018 წლის 17 ოქტომბრის ჩათვლით ამომრჩეველთა სიების წარდგენა ბსუ-ს საარჩევნო კომისიაში.
7. ბრძანება ჩაბარდეთ ბსუ-ს ფაკულტეტების დეკანებსა და ინსტიტუტების დირექტორებს.
8. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ფაკულტეტების საინფორმაციო დაფებზე და ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე.
9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მ.ხალვაში**